ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2617407

ნომერი: AR1407051

თარიღი : 23.05.2016

გაცემის თარიღი : 27.05.2016

გაცნობის თარიღი : 28.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საგზაო უბნის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , რაიონი გლდანი , მიკრო/რაიონი 1 , კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვეთი N15/82) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იუზა ოქროპილაშვილი პ/ნ 60003010581
- შარტავა #14 ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1407051 23.05.2016 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ გაცემულ #3231541 26.06.2012 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ცლილებას კერძოდ მსუბუქი კონსტრუქციის ნაცვლად ერთ სართულიანი კაპიტალური შენობის (ფუნქცია : ბაზარი) დაფიქსირებას, გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი (არსებულ გარემოში საპროექტო ობიექტის განთავსების ფოტომონტაჟი) და გენგეგმა საპროექტო ობიექტის ჩვენებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.